საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№2687 2019 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრისა (სამმართველოს) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს ერთიანი მომსახურების ცენტრის (განყოფილების) „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებისგან დროებით გათავისუფლების შესახებ

„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის ვალდებულებისაგან 2020 წლის პირველ ივლისამდე გათავისუფლდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრი (სამმართველო), საპატრულო პოლიციის

დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს ერთიანი მომსახურების ცენტრი (განყოფილება) და ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ერთიანი მომსახურების ცენტრსა (სამმართველოსა) და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს ერთიანი მომსახურების ცენტრთან (განყოფილებასთან) კომუნიკაციის ელექტრონული ფორმით ურთიერთობისას.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**